



]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2668
25/07/2016

2668-01-4-201607250920



ქალაქ ქუთაისში ილია ჭავჭავაძის გამზირზე, „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ წინამდებარე გზასა და ილია ჭავჭავაძის გამზირს შორის არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთის განაშენიანების საუკეთესო პროექტის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

ქალაქ ქუთაისში ილია ჭავჭავაძის გამზირზე, „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ წინამდებარე გზასა და ილია ჭავჭავაძის გამზირს შორის არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთის განაშენიანების საუკეთესო პროექტის გამოვლენის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.გამოცხადდეს კონკურსი ქალაქ ქუთაისში ილია ჭავჭავაძის გამზირზე, „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ წინამდებარე გზასა და ილია ჭავჭავაძის გამზირს შორის არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთის განაშენიანების საუკეთესო პროექტის შესარჩევად.

2.კონკურსის ჩატარების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნას დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ბაქარი ჭეიშვილი-არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
- გალაქტიონ ტოროშელიძე -ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- პანტელეიმონ კლდიაშვილი-ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი
- კონსტანტინე ჯავახაძე-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი
- ზაზა ჩხიკვაძე-არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი.

3.დროებითმა კომისიამ გამოავლინოს კონკურსზე წარმოდგენილ ნამუშევრებს შორის საუკეთესო.

4.დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი №1-ის შესაბამისად /თან ერთად/.

5.დამტკიცდეს დროებითი კომისიის მუშაობის რეგლამენტი დანართი №2-ის შესაბამისად /თან ერთად/.

6.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /ზ. ჯავახია/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

7.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ნოდარ მიქიაშვილმა.

8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურღულია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

კონკურსის პროგრამა და პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისა.
2. ერთ კონკურსანტს შეუძლია რამდენიმე ნამუშევრის წარმოდგენა.
3. არათემატური, შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ნამუშევრები გაფრთხილების გარეშე გამოეთიშება კონკურსს.
4. ნამუშევარი კონკურსიდან მოიხსნება, თუ ის წარმოადგენს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, უკვე გამოყენებაშია (საქართველოში ან საზღვარგარეთ).
5. საკონკურსო ნაშრომი კონკურსანტმა შეიძლება გამოაგზავნოს ფოსტით, ან წარმოადგინოს დალუქული კონვერტით მისამართზე ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3, 2 სართული, ოთახი №204. კონვერტში დაფიქსირებული უნდა იყოს ნამუშევრის ავტორის/ავტორების სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი. მასალა წარმოდგენილი უნდა იქნეს ბეჭდვური, ასევე ელექტრონული ვერსიით (CD/DVD დისკი).
6. გამარჯვებული ნამუშევრის შესაბამისად ტერიტორიის განაშენიანება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.
7. კონკურსი გამოცხადდება ჩაშლილად, თუ არც ერთი ნაშრომი არ იქნება შემოტანილი, შემოტანილი ნაშრომები არ შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს ან/და არ იქნება მოწონებული კომისიის მიერ.
8. კონკურსში მონაწილეობის მსურველს, კონკურსის პირობებთან დაკავშირებით შეუძლია კონსულტაციები გაიაროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში საკონკურსო განაცხადების მიღების ვადებში. მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3, ოთახი №204 ან ტელეფონზე: 5 99 35 00 04; 0 431 24 54 77-ზაზა ჩხიკვაძე.
9. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს და გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო კომისია;
10. თუ კომისიის მიერ გამოვლინდა კონკურსანტის მხრიდან წინასწარი განზრახვით რაიმე არაკეთილსინდისიერი ქმედება, მაშინ კომისიას უფლება აქვს ხმათა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება მისი კონკურსიდან მოხსნის შესახებ;
11. გამარჯვებული პროექტის ავტორი ავტომატურად ჩაითვლება ქ.ქუთაისის არქიტექტურული პროექტების წლის შემაჯამებელი კონკურსის - „წლის არქიტექტორი“ მონაწილედ, რომელიც გაიმართება ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით.

კონკურსის ვადები:

- კონკურსის გამოცხადება 2016 წლის 1 აგვისტოდან;
- საკონკურსო განაცხადების მიღება: 2016 წლის 19 აგვისტოს 18:00 საათამდე ;
- საკონკურსო აპლიკაციების განხილვა კომისიის მიერ 10 დღის ვადაში;
- კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენა არაუგვიანეს 2016 წლის 30 აგვისტოს;

ძირითადი მოთხოვნები კონკურსზე წარმოსადგენ განაშენიანების პროექტთან დაკავშირებით:

- საპროექტო მოცულობა უნდა განთავსდეს „მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის“ წინამდებარე გზასა და ი.ჭავჭავაძის გამზირს შორის არსებულ თავისუფალ (გამწვანებულ) მიწის ნაკვეთზე, რომელსაც გააჩნია დამატებითი სამანქანო შესასვლელი და გასასვლელი ი.ჭავჭავაძის გამზირის გზის პარალელურად, ტროტუარის გასწვრივ.
- ობიექტის სავარაუდო ფუნქციური დანიშნულება - კონკურსანტის შეხედულებისამებრ.
- აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ1 შეადგენს 0,8-ს, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 – 8,0-ს, ხოლო გამწვანების კოეფიციენტი კ3-0,1-ს.
- მითითებულ ტერიტორიაზე არსებულ განაშენიანებაში მნიშვნელოვანია „მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში“ შესასვლელი ნაგებობის („კოლონადა“) არსებობა. აგრეთვე მნიშვნელოვანია ის ურბანული გარემო, რომელშიც მდებარეობს გამწვანებული პარკის ტერიტორია.
- საპროექტო შენობა უნდა განთავსდეს ისე, რომ არ დაზიანდეს პარკის ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, ხელი არ შეეშალოს „კოლონადას“ ოპტიმალურ ხედვას და არ მოხდეს მისი მნიშვნელობის დაკნინება.
- მითითებულ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ერთსართულიანი შენობა, შესაძლებელია ანტრესოლით ან/და მეორე სართულით.
- საპროექტო შენობა უნდა იყოს თანამედროვე ტიპის მოცულობა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მინისა (ვიტრაჟი) და კოლონების ურთიერთშერწყმით მიღებული არქიტექტურული იერსახის შექმნა, აგრეთვე გამოყენებული უნდა იქნეს მცირე არქიტექტურული ფორმები, შენობა ორგანულად უნდა ჩაეწეროს არსებულ გარემოში და არ ამოვარდეს განაშენიანების საერთო კონტექსტიდან.
- ასევე გასათვალისწინებელია აღნიშნული ტერიტორიის გაშლილი სივრცის არსებობა, რომელიც ერთგვარი მოედნისა და სატრანსპორტო მოძრაობის მიმართულების რამდენიმე ურთიერთგადამკვეთ კვანძებს წარმოადგენს.
- საპროექტო წინადადებაში საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ობიექტზე მისასვლელი ავტომანქანების მოძრაობის (შესვლა-გამოსვლა) მიმართულების არსებულ სატრანსპორტო ნაკადში ჩართვის სქემატური ნახაზის წარმოდგენა.

წ. მუსხელიანი

ქალაქ ქუთაისში ილია ჭავჭავაძის გამზირზე, „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“
წინამდებარე გზასა და ილია ჭავჭავაძის გამზირს შორის არსებული თავისუფალი მიწის
ნაკვეთის განაშენიანების საუკეთესო პროექტის გამოსავლენი დროებითი საკონკურსო
კომისიის რეგლამენტი

1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.
4. კომისიამ სხდომებზე საათობრიო ხმის უფლებით შეიძლება მოიწვიოს პირი ან/და პირები, რომელთაც შეუძლიათ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება კომისიისათვის;
5. კომისიის სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.
6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას;

მ. მუსხელიანი